გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №14(244) 2021 წ. 16-31 ივლისი ფასი 1 ლარი

ახალი რეგულაციები უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე

კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევების რაოდენობის ზრდა, ჰოსპიტალურ სექტორში არსებული ვითარება და ვაქცინაციის პროცესის მიმდინარეობა განიხილეს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე, რომელიც ***პრემიერ-მინისტრ* ირაკლი დარიბაშვილის** ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

აღინიშნა, რომ გასული 24 საათის განმავლობაში, ინფიცირების 2600-ზე მეტი შემთხვევა გამოვლინდა, რაც საყურადღებო მაჩვენებელია. მთავრობა სიტუაციას სრულად მართავს, თუმცა აუცილებელია ხელისუფლებისა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა, რათა ეპიდემიოლოგიური ვითარება მკვეთრად არ გაუარესდეს და ქვეყანა შეზღუდვების ხელახლა დაწესების აუცილებლობის წინაშე არ დადგეს. პრემიერ-მინისტრის დავალებით, ჯანდაცვის უწყება ჰოსპიტალურ სექტორში დამატებითი საწოლების მობილიზაციის კუთხით დამატებით ნაბიჯებს გადადგამს. სამინისტროს ინფორმაციით, ამ ეტაპზე მობილიზებული 5700-ზე მეტი საწოლიდან, თავისუფალია დაახლოებით 1300 ადგილი და ეს რაოდენობა კიდევ გაიზრდება, ასევე, დეფიციტი არ არსებობს ბავშვთა საწოლფონდის კუთხით.

საბჭოს წევრებმა განიხილეს ქვეყანაში ვაქცინაციის პროცესის მიმდინარეობა, რომელიც აქტიურად გრძელდება. აღინიშნა, რომ ქვეყანაში ჯამურად მობილიზებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ავტორიზებული ვაქცინების - „სინოფარმის“ და „სინოვაკის“ ჯამში 1,5 მილიონი დოზა. ვაქცინაცია გრძელდება „ასტრაზენეკათი“, ასევე - „ფაიზერის“ ვაქცინით, რომლის დამატებით დოზებს ქვეყანა უახლოეს დღეებში ელოდება. ამასთან, პრემიერ-მინისტრის დავალებით, ვაქცინაციის პროცესის კიდევ უფრო აქტიურად და სწრაფად წარმართვისთვის მოკლე ვადაში მომზადდება მასობრივი ვაქცინაციის ცენტრები, მათ შორის სავაჭრო ცენტრებში.

საბჭოს წევრებმა, ინტენსიური ვაქცინაციის პროცესის პარალელურად, ხაზი გაუსვეს დადგენილი რეგულაციების დაცვის აუცილებლობას, რათა თავიდან იყოს აცილებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება. როგორც ცნობილია, ***პირბადის ტარება კვლავ სავალდებულოა დახურულ სივრცეებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, გაჩერებებზე, ბაზრობებსა და ხალხმრავალი შეკრების ადგილებში.***

19 ივლისიდან ამოქმედდა მთავრობის შესაბამისი დადგენილება, რომლის თანახმად, ტრენინგებზე, კონფერენციებსა და სემინარებზე დაიშვებიან მხოლოდ სრულად ვაქცინირებული მონაწილეები, ან პირები, წინასწარი PCR თუ ანტიგენ-ტესტირების საფუძველზე;

ასევე, აკრძალულია ბანაკის ტიპის შეკრებები, მათი ორგანიზაციული ფორმისა და ჩატარების ადგილის მიუხედავად; 18 წლამდე ასაკის მოზარდების სპორტული ტურნირებისა და სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ ყველა მონაწილის წინასწარი PCR-ტესტირების საფუძველზე.

საბჭოს გადაწყვეტილებით, ცვლილებები შევა სავალდებულო ტესტირების რეგულაციის ნაწილში და სავალდებულო ტესტირებას აღარ დაექვემდებარებიან სრულად ვაქცინირებული პირები.

ამასთანავე, მთავრობის დადგენილებით, როგორც ღია, ისე დახურულ სივრცეში, კვლავ აკრძალულია ისეთი სოციალური ღონისძიებები, როგორიცაა ქორწილი, ქელეხი, სხვადასხვა სახის იუბილე და ა.შ.

საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევის გამოვლენიდან დღემდე, ვირუსით ინფიცირების 390 945 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა გამოვლინდა, საიდანაც 367 130 პირი გამოჯანმრთელდა, გარდაცვლილია 5 592 ადამიანი.

ამ ეტაპზე კარანტინში იმყოფება 70 ადამიანი, კლინიკურ სასტუმროებში - 1120 მოქალაქე, ხოლო სტაციონარში, მეთვალყურეობის ქვეშ - 4495 პირი.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტი, თავმჯდომარე კახა კუჭავას ხელმძღვანელობით და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

იმუნიზაციის პროცესი და ჩვენ

კოვიდინფიცირებულთა რაოდენობამ მოიმატა იზრდება ვაქცინირებულთა რაოდენობაც

რაც ჩვენს ჯანმრთელობას გადაარჩენს...

შპს „ჯეოჰოსპიტალსის“ საგარეჯოს სამედიცინო ცენტრში (***ცენტრის სამედიცინო დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი* დავით ჯიძია**) აქტიურად მიმდინარეობს ანტივირუსული აცრები „COVID-19“-ის წინააღმდეგ. როგორც ჩვენთან საუბარში ***ცენტრის დირექტორმა*** ბ-ნმა **დავით ჯიძიამ** აღნიშნა:

– ანტივაქსერიულ აცრებს სპეციალური, იმუნიზაციის კაბინეტი ემსახურება, სადაც ყოველ კვირას ერთმანეთს ენაცვლებიან ოჯახის ექიმები – ცისმარ პეტრიაშვილი და ნინო ხუციშვილი. მათთან ერთადაა რეგისტრატორი ნათია უსტიაშვილი, ვაქცინატორი, მედიცინის და ლია ონაშვილი. მინდა გითხრათ, რომ კაბინეტი აღჭურვილია ყველა იმ საჭირო მედიკამენტითა და სამედიცინო აღჭურვილობით, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს აცრისშემდგომი მოსალოდნელი გართულების დროს. ე.წ. შოკის დარბაზი უშუალოდ კაბინეტის გვერდითაა. დღეს, 26 ივლისს, უკვე შემოვიტანეთ ვაქცინა „ფაიზერის“ 864 დოზა, რაც საშუალებას გვაძლევს ხვალიდან, 27 ივლისიდან მომსახურება გავუწიოთ ვაქცინა „ფაიზერზე“ დარეგისტრირებულ ადამიანებს. ვაქცინაციის პროცესი არ წყდება, ჩვენი იმუნიზაციის კაბინეტი, მისი მომსახურე მედპერსონალი დღეში 72-80 ადამიანს უტარებს აცრას. ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მადლობა გადავუხადო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას პანდემიის მიმართ თვითშეგნების ამაღლების, იმუნიზაციის პროცესისათვის შესაფერისი ქცევების გამოვლენისათვის. ამასთან, მადლობა იმუნიზაციის კაბინეტის მომსახურე თითოეულ პიროვნებას და საერთოდ, ჩვენი ცენტრის ყველა თანამშრომელს პანდემიის დროს გამოჩენილი მამაცობისა და პროფესიული სიფხიზლისათვის.

ლელა ოთარაშვილი – ***ა(ა)იპ „საგარეჯოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორი:*** – ჩვენი საუბარი დავიწყოთ იქიდან, რომ არა მარტო სრულიად საქართველოში, ჩვენს მუნიციპალიტეტშიც დღითი დღე იზრდება კოვიდინფიცირებულთა რაოდენობა. დღეს, 26 ივლისს 24 საათში 44 კოვიდდადასტურებული შემთხვევაა, 1 იანვრიდან დღემდე უკვე გვაქვს 1300 შემთხვევა. პანდემიის დაწყებიდან დღემდე კი – 2334 შემთხვევა დაფიქსირდა.

დღეს კახეთის რეგიონში თელავისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებმა მივიღეთ „ფაიზერის“ ვაქცინა – 864 დოზა. მინდა შეგახსენოთ, რომ აღნიშნულ ვაქცინაზე უკვე რეგისტრირებულია 864 ადამიანი და 13 აგვისტოს ჩათვლით ყველა დოზა გაწერილია.

საზოგადოებრივ ცენტრში ყველა პირობაა დაცული ცივი ჯაჭვის პრინციპის დასაცავად. დიახ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის და არა მარტო ჩვენს მოსახლეობას შეუძლია აცრის ჩატარება „სინოვაკით“, „სინოფარმით“, „ფაიზერით“.

დასასრული მე-6 გვერდზე

ინფრასტრუქტურა-2021

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში



წელს ჩვენი ქვეყნის მასშტაბით ფართო სპექტრითაა გაშლილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. წლის დასაწყისიდან ყველა რეგიონსა და მუნიციპალიტეტში დღის წესრიგის ნომერ პირველ საკითხად წყლის, გზების, სარწყავი არხების, გარე განათების სისტემების მოწესრიგება დადგა.

პრობლემის მოსაგვარებლად,ახალი სისტემების შესაქმნელად და მოსაწყობად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თემებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში 2021 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის, პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის“ და „რეგიონებში განსახორციელებული პროექტების“ ფონდის ფარგლებში დაიხვეწა და საბოლოო სახე მიიღო მთელმა რიგმა პროექტებმა, რომელთა შესახებაც დღეს ვისაუბრებთ.

ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები:

აღნიშნული ბიუჯეტის ფარგლებში 44 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება, რომლის ღირებულ;ებაცაა 251 569 ლარი. ***სასმელი წყლის მოწყობის, ან წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაციისათვის*** 15 პროექტის განხორციელებაა დაგეგმილი.

კაკაბეთში – ე.წ. „დვრინის“ წყალზე სადრენაჟე სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები, რომლის განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 192974 ლარი გამოიყო.

ასევე, **კაკაბეთში** სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის, კონკრეტულად, სასმელი წყლის ამქაჩი ტუმბოების სრული კომპლექტაციის შეძენა-მონტაჟის სამუშაოებისათვის – 64743 ლარი.

სოფელ **მზისგულში** – წყალმომარაგების რეაბილიტაციისათვის – 113364.36 ლარი.

მანავის თემის სოფელ **ბურდიანში** – წყალსადენის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენის მოსაწყობად – 115493.99 ლარი;

სოფელ პატარძეულში:

ა) ეკლესიის მიმდებარედ წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის – 142 388 ლარი;

ბ) ადმინისტრაციული ერთეულის შენობის მიმდებარედ წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები – 141 005 ლარი;

გ) ე.წ. „ლეკიაანთ უბანში“ წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის – 151 792 ლარი;

დ) ე.წ. „ბერთუბანში“ წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციისათვის – 232471ლ;

სოფელ **წყაროსთავში** – ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოებისათვის – 232471 ლარი;

სოფელ **ხაშმში** – ე.წ. „დაჩებამდე“ სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის – 41542 ლარი;

ყანდაურის თემის **სოფელ ძვემო ყანდაურაში** – სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოებისათვის 62414 ლარი;

სოფელ **გომბორში** – სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოებისათვის – 226808 ლარი;

ქ. საგარეჯოში:

1) კოსტავას ქუჩაზე №14 და №16 საცხოვრებელი კორპუსების წყალმომარაგების – სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოებისათვის – 59696 ლარი;

2)ქ. საგარეჯოსა და მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის სასმელი წყლის ამქაჩი ტუმბოების და მათი კომპლექტის (ახლის) შეძენა-მონტაჟის სამუშაოებისათვის – 180000 ლარი;

სანიაღვრე არხების და ცხაურების მოწყობა;

ქ. **საგარეჯოში** – ერეკლე II-ის უჩაზე – 61 167 ლარი;

სოფელ **პატარძეულში** – ე.წ. „ჩიხლაანთ“ უბანში – 35367 ლარი;

სოფელ **გიორგიწმინდაში** – 11096 ლარი;

გზა

ქ. **საგარეჯოსა** და მუნიციპალიტეტის ***სოფლების*** დაზიანებული ასფალტბეტონის გზის ორმოული შეკეთების სამუშაოებისატვის – 299975 ლარი;

მინი სტადიონების მოწყობა

– სოფელ **უდაბნოში** – 58595 ლარი;
– სოფელ **ნინოწმინდაში** – 65966 ლარი;
– სოფელ **პატარძეულში** – 65966 ლარი;
– სოფელ **დუზაგრამაში** – 65966 ლარი;
– სოფელ **პატარა ჩაილურში** – 65966 ლარი;
– სოფელ **თულარში** – 65966 ლარი;
– სოფელ **მზისგულში** – 66233 ლარი;
– სოფელ **თოხლიაურში** – 66233 ლარი;
– სოფელ **გომბორში** – 65966 ლარი;

მინი მოედნის რეაბილიტაციისა და ხელოვნური საფარის მოწყობის სამუშაოებისათვის:

– სოფელ **ყანდაურაში** – 37909 ლარი;
– სოფელ **ბადიაურში** – 38821 ლარი;
– სოფელ **მანავში** – 38083 ლარი;
– ქ. **საგარეჯოში**, დ. აღმაშენებლის ქუჩა №37-ში მდებარე ცენტრალურ სტადიონზე ტრენაჟორების მოწყობისა და სოფელ **უდაბნოში** არსებული მინი სტადიონის დახაზვისა და რეზინის კროშკის გაშლისთვის – 54226 ლარი;

სტადიონის მშენებლობა:

– სოფელ **დიდ ჩაილურში** – 117814 ლარი;
– სოფელ **უდაბნოში** – 348399 ლარი;
– სოფელ **ნინოწმინდაში** – 342423 ლარი;

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების რეაბილიტაციისთვის:

– **საგარეჯოს №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება** – 82435 ლარი;

– ქალაქ საგარეჯოში ადმინისტრაციული შენობის ფასადის შეკეთების სამუშაოებისათვის – 114000 ლარი;

გარეგანათების მოწყობის სამუშაოებისათვის

სოფელ **გიორგიწმინდაში** – 12615 ლარი;

სოფელ **უდაბნოს** ყოფილი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობაში №34 და №35 ოთახების მიმდინარე შეკეთების სამუშაოებისათვის – 10943 ლარი;

სხვადასხვა

– ქ. **საგარეჯოში** კულტურის სახლის შენობის სახურავზე დაზიანებული სახურავის შეცვლის სამუშაოები – 11545 ლარი;

– **საგარეჯოს** მუნიციპალიტეტში სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური ბარიერების, საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნებისა და და საგზაო გადასასვლელების (ე.წ. „ზებრების“) მოწყობის სამუშაოები – 34242 ლარი;

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების
ფონდის ფარგლებში დაგეგმილი პროექტები

<u>**სასმელი წყალი**</u>

სოფელ **გიორგიწმინდაში** ჭაბურღილების, შემკრები რეზერვუარების და სატუმბი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

სოფლის მეურნეობა

„ალოობა-2021“ დასასრულს უახლოვდება

მემინდვრეები მოსავალს არ უჩივიან

საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ცნობებით 2021 წლის საშემოდგომო თავთავიანი კულტურებისათვის დათესილი იყო 11300 ჰა სასოფლო სამეურნეო სავარგული. აქედან 8800 ჰა-ზე საშემოდგომო ხორბალი, დანარჩენ 5500 ჰა-ზე ქერი.

დადგა თუ არა ევროპირეთში ალოობის დრო, მუნიციპალკიტეტის აღმოსავლეთის ზონის სოფლებიდან დაიწყო ქერის მკა. მოსავლის აღება პირველად რამდენიმე კომბაინით დაიწყო, რასაც შემდგომ კახეთიდან გამოთავისუფლებული კომბაინებიც შეემატა. 23 ივლისის მდგომარეობით ქერის ნათესების აღება მთლიან ფართობზე დამთავრებულია და მიმდინარეობს საშემოდგომო ხორბლის მკა, რომელიც დასასრულს უახლოვდება.

ქერისა და ხორბლის მოსავლიანობა სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში სხვადასხვანაირია.

ალოობის საბოლოო შედეგები მალე დაზუსტდება და დაინტერესებულ მკითხველს დაწვრილებით ინფორმაცია გაზეთის უახლოეს ნომერში მივაწვდით.

2000 ჰექტარზე საგაზაფხულო ქერის და 225 ჰა-ზე საშემოდგომო ქერის 100%-იანმა მოსავალმა ჯამში 4500 ტონა შეადგინა.

ინფრასტრუქტურა-2021

ქალაქის იერ-სახის გასაუმჯობესებლად

განახლებული რეგიონები” -ის პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, ქალაქ საგარეჯოში, დ. აღმაშენებლის ქუჩაზე ქალაქის იერსახის გაუმჯობესების მიზნით, ფასადების რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის №185 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის - „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში, Design-Build მეთოდით, კახეთის სარეაბილიტაციო ობიექტებისათვის (საგარეჯოს, დედოფლისწყაროს ლოკაციები) ჯამში გამოყოფილია 20 000 000 ლარი.

სოფელი პატარა ჩაილური

პატარა ჩაილურის ადმინისტრაციულ ერთეულში, მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს “ მაია” ასრულებს.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 74 882 ლარით ფინანსდება.

ნიკოლოზ ჯავახიშვილი _ აგროოლიმპიადის გამარჯვებული

მიმდინარე წლის ივლისში საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ასოციაციამ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, UsAID-ის, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით ჩაატარა აგროოლიმპიადა სოფლის მეურნეობის 5 პრიორიტეტულ დარგში: აგრონომია, მექანიზაცია, სატყეო მეურნეობა, სასურსათო და ღვინის ტექნოლოგიები, ოლიმპიადის მიზანი სოფლის წარმოჩენა და სოფლის მეურნეობის დარგების პოპულარიზაცია გახლდათ.

ოლიმპიადაზე დაიშვებოდნენ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის მონაწილეები: მოსწავლეები, სტუდენტები, ფერმერები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

ოლიმპიადა ჩატარდა ორ ტურად. პირველ ეტაპზე ონლაინ რეჟიმში, სადაც მონაწილენი ვალდებული იყვნენ სწორი პასუხები გაეცათ მიცემულ 60 კითხვაზე. ამ ტურში გამარჯვებულ 108 მონაწილეს შორის (თითოეული დარგის მიხედვით 10-10 კონკურსანტი) 17 ივლისს ფინალური (წერილობითი) ტური ჩატარდა და გამოვლინდნენ I, II, III ადგილზე გასული კონკურსანტები. 21 ივლისს გამოქვეყნებული აგროოლიმპიადის ოფიციალური ცნობებით მექანიზაციის დარგში სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს შორის გამარჯვებულად დასახელდა ოლიმპიადაში მონაწილე ჩვენი ბადიაურელი თანამემამულე, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, აგროინჟინერიის დოქტორი **ნიკოლოზ ჯავახიშვილი.**

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია ულოცავს ბ-ნ ნიკოლოზს ამ გამარჯვებას და იმედს გამოთქვამს, მისი ეს გამარჯვება კიდევ უფრო წაადგება ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

გივი დაბახიშვილი

სიახლე!

ფერმერთა ხელშესაწყობად

სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების პროგრამა იწყება!

***პროგრამა** ყველა ტიპის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსებას მოიცავს.*

***პროგრამით** დადგენილი პირობით, შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, უნდა იყოს ახალი, ექსპლუატაციაში არმყოფი.*

***თანადაფინანსების** მოცულობა ჯამურად ერთ ბენეფიციარზე განისაზღვარა შემდეგი პირობით:*

– თუ შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულება შეადგენს 20,000 ლარამდე თანხას, თანადაფინანსება შეადგენს სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის ღირებულების 35%-ს

– სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის 20,000 - ლარიდან 100,000 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში თანადაფინანსება შეადგენს ღირებულების 35% -ს

– თუ შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულება შეადგენს არანაკლებ 100,000 ლარს თანადაფინანსება განისაზღვრა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების 30%-ს

– ამავე პირობებით დაფინანსდება 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანიისგან“ სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის, მათ შორის კომბაინების შესყიდვა.

პროგრამის ფარგლებში განაცხადები მიიღება 2021 წლის სექტემბრიდან, ელექტრონული ფორმით.

პოტენციური ბენეფიციარების განაცხადების განხილვა განხორციელდება წარმოდგენილი განაცხადების რიგითობის შესაბამისად.

დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ აგვისტოს თვეში იქნება ხელმისაწვდომი.

ინფრასტრუქტურა-2021
საგარეჯოს მუნიციპალიტეტში

დასასრული

სადგურის მოწყობის სამუშაოებისათვის – პროექტის სრული ღირებულებაა 1 მილიონ 400000 ლარი (აქაც და მთლიანად ნაჩვენებია პროექტის სრული ღირებულება)

გზების მოწყობა-მოასფალტება

სოფელ **ხაშმში**

სოფლის შესასვლელ გზაზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობისათვის – 1037000 ლარი;

სოფელ **თოხლიაურში**

შიდა ცენტრალური გზის მოასფალტება – 370000 ლარი

სოფელ **უდაბნოში**

გზის მოასფალტების სამუშაოებისათვის – 284920 ლარი;

სოფლების – **თულარი-კაზლარის** დამაკავშირებელ ცენტრალური გზის მოასფალტება – 552000 ლარი

სოფლების – **ნინოწმინდისა და წყაროსთავის** დამაკავშირებელი გზის მოასფალტების სამუშაოებისათვის – 714240 ლარი;

სოფელ **მანავში** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოებისათვის – 288690 ლარი.

ქ. საგარეჯოში:

– კახეთის გზატკეცილი №10, 10ა, 12, 12ა კორპუსების ეზოების – 564220 ლარი;
– რუსთაველის ქუჩის №№ 270,272,274 კორპუსების ეზოების – 368640 ლარი;
მშვიდობის ქუჩის – 1013090 ლარი;
– ფალიაშვილის ქუჩის – 316550 ლარი;
– ბარნოვის, რობაქიძის და 9 ძმის ქუჩების – 595000 ლარი;
– კეცხოველის ქუჩის – 223100 ლარი;
– კახეთის ქუჩის – 86131 ლარი;
რუსთაველის და კახეთის ქუჩების დამაკავშირებელი გზის – 136019 ლარი;
– ე.წ. „ქურხულიანთ უბნის“მიმდებარედ არსებულ სასაფლაოსთან მისასვლელი გზის (არმირებული ცემენტ-ბეტონით) – 663912 ლარი

სოფელ **ბადიაურში**

– სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციისათვის – 95712 ლარი

რაც შეეხება ***პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის“ ფარგლებში***

გარე განათება

სოფლებში.

ბადიაური – 20000 ლარი;
ასკილაურში – 10000 ლარი;
ვერონა – 10000 ლარი
დიდი ჩაილური – 16000 ლარი
დუზაგრამა – 16000 ლარი;
პალდო – 16000 ლარი;
წიწმატიანი – 16000 ლარი;
თულარი – 20000 ლარი;
კაზლარი – 20000 ლარი;
მუღანლო – 20000 ლარი;
ძეშალო – 20000 ლარი;
კოჯბანი – 10000 ლარი;
გორანა – 10000 ლარი
სასადილო – 10000 ლარი
ზემო ლამბალო – 20000 ლარი
ქვემო ლამბალო – 20000 ლარი;
მანავი – 20000 ლარი;
პატარძეული – 20000 ლარი;
უჯარმა – 16000 ლარი;
ქვემო ყანდაურა – 20000 ლარი

სასმელი წყლის სისტემები

– გიორგიწმინდის თემის **ქვემო სამგორის** დასახლება – სასმელი წყლის აუზის მოწესრიგება – 10000 ლარი;
– სოფელ **გომბორში** – სასმელი წყლის სათავე ნაგებობიდან წყლის შემკრებამდე მისასვლელი მაგისტრალის ამოცვლა – 16000 ლარი;
გომბორის თემის სოფელ **ვაშლიანში** – სასმელი წყლის მილის შეცვლა 500მ გრძივი, 32მმ-იანი მილის – 10000 ლარი;
– კოჯბანის თემის სოფელ **ოთარაანში** – სასმელი წყლის მილების სარეაბილიტაციო სამუშაოები – 10000 ლარი;
სოფელ **ბოტკოში** – სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და სისტემის მოწყობა – 10000 ლარი.

სპორტული ინფრასტრუქტურა

– სოფელ **გიორგიწმინდაში** – საჭიდაო მოედნის მოწყობა – 2000 ლარი (საჭიროა 25000 ლარი)
– სოფელ **ვერხვიანში** – ტრენაჟორების მოწყობა – 16000 ლარი (საჭიროა 25000 ლარი);
– სოფელ **მზისგულში** ტრენაჟორების მოწყობა – 16000 ლარი (საჭიროა 25000 ლარი);
– სოფელ **ნინოწმინდაში** ტრენაჟორების მოწყობა – 20000 ლარი (საჭიროა 25000 ლარი);
– სოფელ **პატარა ჩაილურში** – ტრენაჟორების მოწყობა – 16000 ლარი (საჭიროა 25000 ლარი);
– სოფელი **უდაბნო** – ტრენაჟორების მოწყობა – 16000 ლარი (საჭიროა 25000 ლარი);
– სოფლებში **ანთოკსა** და **მარიამჯვარში** (გაერთიანებული) – ტრენაჟორების მოწყობა – 20000 ლარი;

სანიაღვრე არხების მოწყობა

სოფლებში:
– **შიბლიანში** – სანიაღვრე არხის მოწყობა – 16000 ლარი;
– **ზემო ბურდიანში** – 10000 ლარი;
– **კაკაბეთში** – 20000 ლარი;

სკვერების მოწყობა

– **რუსიანში** – 10000 ლარი;
– **თოხლიაურში** – 10000 ლარი;
– **სათაფლეში** – 10000 ლარი;
– **ხაშმში** – 20000 ლარი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ინფრასტრუქტურა

– წყაროსტავში – საბავშვო ბაღის ეზოს მოწყობა – 16000 ლარი (პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 20000 ლარი).

სარწყავი სისტემის მოწყობა

უჯარმის თემის სოფელ **პალდოში** – 10000 ლარი.

მოვუაროთ ჩვენს სოფელს

სოფელ შიბლიანში შპს „სუფთა მუნიციპალიტეტი-2018“-ის (დირექტორი თედო ილაური) მიერ ათეული წლობით გაუწმენდავი სანიაღვრე არხების გაწმენდა მიმდინარეობს.

სოფელ ხაშმის ახალგაზრდებმა სოფლის ცენტრი დაასუფთავეს

განათლება

ჯილდო, რომელსაც აღიარება ჰქვია

რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი
საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი–
მარინა გულისაშვილი

ივლისის ერთ ლამაზ დღეს საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელს მარინა გულისაშვილს საქართველოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა. ეს არავისთვის ყოფილა გასაკვირი, პირიქით, ამ დამსახურებულ აღიარებას მავანმა დაგვიანებულიც კი უწოდა და რატომ?! ვინც ქ-ნ მარინას იცნობს, ყველა დაგვეთანხმება, რომ იგი მართლაც ღირსეულად აგრძელებს გულისაშვილების – საზოგადო მოღვაწეთა კლეადის ტრადიციებს და თავდაუზოგავად ემსახურება ჩვენი მუნიციპალიტეტის მომავალი თაობების აღზრდა-განათლების საქმეს, აგერ უკვე 49 წელია.

– ქალბატონი მარინა გულისაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ქალაქ საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის მასწავლებელი გახდა და უმალვე მოიპოვა მოსწავლეთა სიყვარული , მშობლების ნდობა და კოლეგების აღიარება. საგნის უბადლო მცოდნე მასწავლებლის თითოეული გაკვეთილი საინტერესოდ და მრავალფეროვანი აქტივობებით მიმდინარეობს. მიუხედავად ასაკისა, იგი ყოველთვის თვითგანვითარებაზეა ორიენტირებული და ფეხდაფეხ მიჰყვება ყველა სიახლესა და ინიციატივას, რასაც დღევანდელი განათლების სფერო მოიცავს. ქალბატონი მარინა კლასის დამრიგებელიც არის, ამჟამად მეშვიდეკლასელების საყვარელი დამრიგებელია და ცდილობს მოსწავლეებს თითოეული დღე გაულამაზოს შემეცნებითი და საინტერესო ღონისძიებებით. გარდა იმისა, რომ მისი მოსწავლეები არაერთ პროექტში არიან ჩართულნი , იგი თავადაც არის ინიციატორი და ორგანიზატორი არაჩვეულებრივი პროექტის: „საგარეჯოს რაიონის გამორჩეული ადამიანები“. პროექტის ფარგლებში ქალბატონი მარინა საზოგადოებას აცნობს ყველა იმ გამორჩეულ და ცნობილ ადამიანს, რომელთაც გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი ჩვენი რაიონის განვითარებაში.

კრიზისული ვითარების დროსაც, მარინა მასწავლებელი არ ჩამორჩება დროს და მოსწავლეებს დისტანციურ გაკვეთილებს სთავაზობს და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მისი გაკვეთილები ისეთივე საინტერესოა, როგორიც საკლასო სივრცეში.,– ასე დაგვიხასიათა ქ-ნი მარინა *საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის დირექტორმა* **ლელა ფანოზიშვილმა.**

ქ-ნი მარინა დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია

– ქ-ნო მარინა, გილოცავთ საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭებას.

– მადლობა

– რომელ წელს დაამთავრეთ სკოლა და შემდეგ სად გააგრძელეთ სწავლა

– საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლა დავამთავრე 1967 წელს.იმავე წელს ჩავირიცხე თსუ–ში.დღემდე „თეორი გედს"ვუწოდებ.ვეთაყვანები.

– ვინ იყო თქვენი გზამკვლევი, გამხდარიყავით ისტორიკოსი

– მამა–ჯიმშერ გულისაშვილი.ისტორიას ასწავლიდა.ნაშრომები აქვს დაწერილი. გერმანულ და რუსულ ენებს თავისუფლად ფლობდა. გიორგიწმინდის სახლი დღესაც სავსეა წიგნებით.დიდი პაპა–იერემია გულისაშვილი–წერა–კითხვის გამავრცელებელი

დასასრული მე-8 გვერდზე

ამაგდარი

ხიბლი, რომელიც არ კარგავს ფერებს

სწავლა ე.წ. „გაღმაუბნის“ დროებითი კლასების სკოლაში დაიწყო. საოცრად საინტერესო მასწავლებელი შეხვდა, აი ისეთი, თავსაც რომ შეგაყვარებს, სკოლის კედლებსაც და სწავლასაც. ეს მარიამ დარბაისელი იყო, შემდეგ რუსული ენის მასწავლებელმა ციალა ჭანტურიამ რუსული ენის ანბანის, სიტყვების შესწავლაში დაახელოვნა მეორეკლასელები. სწავლა საგარეჯოს საშუალო სკოლაში განაგრძო და დახვდნენ პედაგოგები, რომლებიც მხოლოდ რაიონს არ ამშვენებდნენ ერუდიციითა და ადამიანობით. მათი სახელი რესპუბლიკის პედაგოგების უმრავლესობამ იცოდა. მუდამ ახლის ძიებაში მყოფნი, მოსწავლეებზე უზომოდ შეყვარებულები, მათზე ზრუნვასა და ფიქრში თითქმის ბიოლოგიურ მშობლებს გათანაბრებულები. სკოლის დირექტორი მიხეილ მანდარია და მისი მეუღლე, ქიმიის მასწავლებელი მერი გოდერძიშვილი საკუთარი ოჯახის წევრებად მიიჩნევდნენ თითოეულ მოსწავლეს. სწორედ მათგან ისწავლა, მათი მიბაძვით უნდოდა გამოსულიყო კარგი მასწავლებელი და თანაც... ქიმია-ბიოლოგიის... სწავლობდა ფრიადზე, მისი ოცნებები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორ შენობას, პირველ კორპუსს ელაციცებოდა და აი, ოცნებაც აუხდა, მისადები გამოცდებიც ბრწყინვალედ ჩააბარა და ჩაირიცხა ბიოლოგიის ფაკულტეტზე. ემოციების ზღვა მოზღვავდა, არც კი იჯერებდა, რომ შეძლო და ყველაზე მაღალი ქულებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. რამდენჯერმე „გადაამოწმა“ გამოკრულ სიაში საკუთარი გვარი და მხოლოდ მაშინ „იჯერებდა“, თუ მის გვარსა და სახელს უცხო ადამიანს წააკითხებდა. მრავალი საინტერესო სპეციალობები იყო, მაგრამ მან ადამიანთა და ცხოველთა ფიზიოლოგია აირჩია, თანაც სწავლა პირველ კორპუსში მიმდინარეობდა. აქვე შეეძლო მესამე კურსიდან განსხვავებული საგნები ჩაებარებინა და სამედიცინო ინსტიტუტში გაეგრძელებინა სწავლა, მაგრამ... მან მაინც მასწავლებლობა ირჩია.

საგარეჯოელმა ნანული როსტიაშვილმა თეორი წყაროს რაიონის სოფელ კოდის საშუალო სკოლის მერვე კლასში გულის ფანცქალით შეხსნა საკლასო ოთახის კარები – პირველი გაკვეთილის ჩასატარებლად. იმ დღიდან გრძელდება ათეული წლებია იმ კლასის მოსწავლეებსა და ნანული მასწავლებელს შორის მეგობრობა. იქნებ ზოგიერთმა არც დაიჯეროს, მაგრამ მოწმეები არიან, ნანული მასწავლებლის მშობლების საფლავის ქვები იმ კლასის ყოფილმა მოსწავლეებმა ჯერ საკუთარი ხელით გააკეთეს და თავადვე გაალამაზეს სასაფლაო, კოდის სკოლაში საოცრად გულთბილი მასწავლებლები დახვდნენ ახალბედა მასწავლებელს, სოფელში პატივისცემით და რიდით ეპყრობოდნენ. იქ მხოლოდ 4 წელი იმუშავა, ერთადერთი ძმის უეცარმა გარდაცვალებამ იძულებული გახადა მშობლიურ კერას დაბრუნებოდა.

მუშაობა ჯერ საგარეჯოს პირველ საშუალო სკოლაში, შემდეგ კი ახლადგახსნილ III საშუა-

დასასრული მე-8 გვერდზე

რეგიონში გამარჯვებული

სოფელ გომბორის საჯარო სკოლის დაწყებითი გაანთლების საფეხურის მასწავლებელი

მარეხი დიდებაშვილი

დამეთანხმებით, არ არსებობს აღმზრდელ-პედაგოგი, რომელიც რაიმე გასამრჯელოზე ფიქრობდეს, გარდა თავისი ღვაწლის, თავის მიერ უშურველად გაცემული ცოდნის, გამოჩენილი შესაძლებლობის ისეთ დაფასებაზე, რასაც შედეგის მიღება ჰქვია, დიახ, შედეგის, რომელიც ვლინდება მოსწავლეებზე მიწოდებული მასალის ათვისება-შესწავლაში. ვინ მოთვლის, რამდენი საათი, რამდენი დღეა ნაფიქრი, თუნდაც ერთი საკითხის, ერთი გაკვეთილის სათანადოდ მოსამზადებლად, მით უმეტეს პატარებისათვის მისაწოდებლად – საინტერესოდ, მოუბეზრებლად და ისე, რომ მომავალ გაკვეთილზე უფრო დაინტერესებულები, მოტივირებულები მოელოდნენ პედაგოგისაგან მორიგი ასახსნელი მასალის უფრო საინტერესოდ მიღებას.

ამ დროს იქნებ არც ერთი მოსწავლე არ ფიქრობს იმაზე, რომ სწორედ მისი მასწავლებელი ყველაზე, ყველაზე საინტერესოდ წარმართავს გაკვეთილს, თუნდაც იმ რაიონში, სადაც ის ცხოვრობს და სწავლობს. არა, განა არ არის დარწმუნებული, რომ კარგი, საუკეთესო მასწავლებელი ჰყავს, მაგრამ როცა გაიგებს, რომ ის რეგიონშიც ძლიერია, უკვე ემატება სიამაყე, და მერე როგორი.

დიახ, ***გომბორის საჯარო სკოლის*** ახლანდელ ***მეორეკლასელებს*** დიდზე დიდი სიხარული ეწვიათ, მათი ***მასწავლებელი*** – **მარეხი დიდებაშვილი** ჟიურიმ მასწავლებელთა აღიარების რეგიონულ კონკურსში ერთ-ერთ გამარჯვებულად აღიარა – სულ კი რვა მუნიციპალიტეტის ვინ მოთვლის რამდენი დაწყებითი საფეხურის პედაგოგიდან ორი მასწავლებელი დასახელდა, მათ შორის მარეხი მასწავლებელი. ხოდა, სწორედ მარეხი მასწავლებელი დააჯილდოვეს USAID-ის ორგანიზებითა და ნათელა გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის მხარდაჭერით. გარდა ამ ჯილდოსი, რომელიც კონკურსში გამარჯვებულ პედაგოგებს თელავის მუნიციპალიტეტში არსებულ შალვა ამონაშვილის ცენტრში გადაეცათ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ერბოწონაშვილის სახელით მადლობის სიგელი და სიმბოლური საჩუქარიც გადაეცა.

– ქალბატონო მარეხი, გილოცავთ ამ დიდ ჯილდოს, რომელიც უდიდესი შრომით, გონების დაძაბვით, თითოეული მოსწავლის შესაძლებლობათა გათვალისწინებით, ფიქრითა და განსჯით, ძალების მობილიზებით მიიღეთ, გვითხარით, რამდენი წელია რაც ამ საქმეს ემსახურებით?

– 1990 წელს დავამთავრე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (მაშინ ასე ერქვა ა. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტს). იმავე წელს დავიწყე მუშაობა და 31 წელია ვემსახურები ჩემს საყვარელ საქმეს. ამჟამად ვმუშაობ გომბორის საჯარო სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად.

– თქვენს სკოლაში ქართველებთან ერთად ეთნიკურად აზერბაიჯანელებიც უფრო სწორად, ლაოშები სწავლობენ, ადრე რუსებიც იყვნენ. როგორ ახერხებთ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მოსწავლეებთან მუშაობას.

– დიახ, აქ ერთმანეთის გვერდით სწავლობენ ქართველები და აზერბაიჯანელები. ადრე რუსებიც, ხანდახან სამ ენაზე ვხსნიდი გაკვეთილს.

– რა არის საჭირო, თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს პედაგოგი, რომ მან ყველა მოსწავლე აქტიურად ჩართოს გაკვეთილის პროცესში და საინტერესო გახადოს 45 წუთიდან თითოეული წუთიც კი?

– საამისოდ სხვადასხვა აქტივობებით ვცდილობ საინტერესო და სახალისო გავხადო სასწავლო პროცესი და ყველა მოსწავლე ჩაერთოს აქტიურად.

არ ვარ წინააღმდეგი თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურადაც ვიყენებ სასწავლო პროცესში. მაგრამ მინდოდა, მოსწავლეებისათვის შემეყვარებინა წიგნი. ამისათვის მშობლების დახმარებით შევქმენით მინი ბიბლიოთეკა. კლასშიც ვკითხულობთ და ვმსჯელობთ წაკითხულის ირგვლივ, სახლშიც მიაქვთ სურვილისამებრ წიგნები. ერთმანეთს უზიარებენ აზრს, რა მოეწონათ. მსჯელობენ პერსონაჟის საქციელზე. კლასის საათზე უფროსკლასელები გვეხმარებიან წაკითხვაში და აძლევენ მაგალითს. – როგორი უნდა იყოს კარგი მკითხველი. მშობლებიც გვსტუმრობდნენ და მათაც ვრთავდით აქტივობაში, მაგრამ პანდემიამ შეგვიშალა ხელი. ხშირად ვიყენებ როლურ თამაშს, ასე უფრო მოსწონთ მოყოლა და მეტს სწავლობენ ერთმანეთისგან. მცირე კონტიგენტიანი კლასები გვაქვს და მეც მიწევს რომელიმე პერსონაჟის როლის მორგება და ეს ძალიან ახალისებთ პატარებს.

მოსწავლე ყოველთვის უნდა გრძნობდეს მასწავლებლის მხარდაჭერას და თავს მის მეგობრად და თანატოლად უნდა აღიქვამდეს.

წელს პირველი კლასი მყავდა. 14 მოსწავლე, 9 ქართველი და 5 აზერბაიჯანელი. პირველი კლასი ყოველთვის რთულია, სანამ სასკოლო რეჟიმს შეეგუებიან. ამ სირთულეს ონლაინ სწავლაც დაერთო. მიუხედავად სიძნელეებისა, ვფიქრობ, წარმატებით გავართვით თავი.

– იქნებ ცოტა რამ გვითხრათ მასწავლებელთა აღიარების რეგიონული კონკურსის შესახებ?

– ჩვენი სკოლა წელს ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელის მხარდამჭერ პროექტში, რომელსაც USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამა ახორციელებს. ვიყავი ლიდერი მასწავლებელი ქართულის მიმართულებით. მოვისმინე საკმაოდ საინტერესო ტრენინგები და შემდეგ ვაცნობდი კოლეგებს. დავგეგმეთ არაერთი საინტერესო გაკვეთილი სახალისო აქტივობებით. შევადგინეთ კომპლექსური დავალებები ქართულშიც, მათემატიკაშიც. საკმაოდ ნაყოფიერი და საინტერესო სასწავლო წელი გვქონდა. პირველ კლასში თემატური ერთეულის ფარგლებში ჩავატარე პირველ კლასში 14 გაკვეთილი, მესწრებოდნენ კოლეგები და მერე ერთად ვმსჯელობდით, რა იყო კარგი და რა გასაუმჯობესებელი. მადლობა მინდა გადავუხადო იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ქ-ნ ნინო ნახუცრიშვილს (პროექტის მენეჯერი კახეთის რეგიონში) და ტრენერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მიწვეულ პროფესორს ქ-ნ მიმოზა ტყებუჩავას გაწეული შრომისათვის. მათ მომცეს სტიმული მონაწილეობა მიმეღო მასწავლებელთა აღიარების რეგიონულ კონკურსში.

– ქ-ნო მარეხი, ეგონებ არ იქნება ურიგო, თუ ამ საუბარში მოიხსენიებთ გომბორის საჯარო სკოლის ყოფილ პედაგოგებს., რომლებმაც კვალი ნათელი დატოვეს რაიონის

დასასრული მე-8 გვერდზე

იმუნიზაციის პროცესი და ჩვენ

კახეთში „ფაიზერით“ აცრაც არის შესაძლებელი

კახეთში თელავისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში „ფაიზერით“ იმუნიზაციის პროცესი 27 ივლისიდან დაიწყო. რამდენიმე ასეული დოზა ვაქცინა თელავის საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრს ცოტა ხნის წინ გადაეცა, 864 დოზა კი – საგარეჯოს. რეგიონში მოქმედი ამცრელი დაწესებულებიდან „ფაიზერით“ აცრები, ამ ეტაპზე, მხოლოდ თელავის რეფერალურ საავადმყოფოსა და საგარეჯოს „ჯეოჰოსპიტალსში“ ჩატარდება.

სპეციალისტების განმარტებით, საზოგადოებრივ ცენტრებში ყველა პირობაა შექმნილი, რომ ცივი ჯაჭვის პრინციპი დაცული იყოს და ვაქცინაციის პროცესი უსაფრთხო გარემოში ჩატარდეს.

რეგიონში მოსახლეობა, ამ დრომდე, „სინოფარმით“, „სინოვაკითა“ და „ასტრაზენეკათი“ იცრებოდა, თუმცა ახლა „ფაიზერის“ ვაქცინაც ხელმისაწვდომია.

„ფაიზერის“ პირველ დოზაზე რეგისტრაცია დაიწყო, აცრა კი 27 ივლისიდან დაიწყება. ამ ვაქცინით იმუნიზაცია 16 წლის და ზემოთ ასაკის პირებისთვის იქნება შესაძლებელი. ვაქცინაციისთვის ვიზიტის დაჯავშნა შესაძლებელია ელექტრონულ პორტალზე.

შეგახსენებთ, რომ ამ დღეებში ამერიკის მთავრობისა და უშუალოდ პრეზიდენტ ჯო ბაიდენის გადაწყვეტილებით, საქართველოში საჩუქრად გადმოცემული „ფაიზერის“ ვაქცინის 500 ათასი დოზა შემოვიდა. ლიეტუვამ საქართველოს „ასტრაზენეკას“ 15 ათასი დოზა აჩუქა.

ამ დროისთვის საქართველოში კორონავირუსის 395 621 შემთხვევაა დადასტურებული. მათ შორის გამოჯანმრთელდა 369 483, გარდაიცვალა 5 636 პაციენტი.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია 2020 წლის 11 მარტს გამოაცხადა. მანამდე კი, 30 იანვარს ჯანმომ კორონავირუსი გლობალურ საფრთხედ გამოაცხადა. ჩინეთში პნევმონიის აფეთქება 2019 წლის დეკემბერში დაიწყო. ის გამოწვეულია კორონავირუსის აქამდე უცნობი შტამით. 21 იანვარს ჩინეთმა დაადასტურა, რომ კორონავირუსი გადამდებია. მომხდარის გამო ქვეყნის ორ ქალაქში კარანტინი გამოცხადდა.

ქვეყანაში „ასტრაზენეკათი“ ვაქცინაცია 2021 წლის 15 მარტიდან დაიწყო, „ფაიზერით“ კი 30 მარტიდან. 3 აპრილს ქვეყანამ „სინოფარმის“ ვაქცინის 100 ათასი დოზა მიიღო. ამ ვაქცინის გამოყენება 4 მაისიდან დაიწყო, „სინოვაკით“ იმუნიზაცია კი 24 მაისიდან.

28 ივლისს კვირიკეს და ივლიტას ხსენების დღე აღინიშნება



მართლმადიდებელი ეკლესია 28 ივლისს წმიდა მოწამეთა კვირიკეს და მისი დედის ივლიტას ხსენების დღეს აღნიშნავს. ახალციხეში, სოფელ ივლიტის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში საზეიმო წირვა აღევლინება.

წმიდა მოწამენი, კვირიკე და ივლიტა, მცირე აზიის ქ. იკონიაში (ლიკაონის მხარე) ცხოვრობდნენ. წმიდა ივლიტა, წარმოშობით, კეთილშობილი ოჯახიდან იყო. იგი ადრე დაქვრივდა და თავის 3 წლის ბავშვს, კვირიკეს, მარტო ზრდიდა. ივლიტა ქრისტიანი იყო. დიოკლეტიანეს (284-305) მიერ ქრისტიანთა დევნა რომ დაიწყო, ივლიტა, ყრმა კვირიკესთან და 2 ერთგულ მონა ქალთან ერთად, ქალაქიდან წავიდა, დატოვა რა თავისი სახლი, ქონება.

მათხოვრის სახით, იგი, თავდაპირველად, სელევკიაში იმალებოდა, შემდეგ კი - ტორსში. დაახლოებით 305 წელს წმიდა ივლიტა იცნეს, შეიპყრეს და მმართველ ალექსანდრეს სამსჯავროზე წარადგინეს. უფლის მიერ მხნეობამიცემული ივლიტა უშიშრად პასუხობდა მსაჯულთა კითხვებს და თავის სარწმუნოებას მტკიცედ აღიარებდა. მმართველმა ბრძანა, წმინდანი კეტებით ეცემათ. წამების დროს წმიდა ივლიტა იმეორებდა: ”მე ქრისტიანი ვარ და არ შევწირავ მსხვერპლს ეშმაკებს.”

პატარა კვირიკე ტიროდა, დედის ტანჯვას რომ უყურებდა და მისკენ მიიწევდა. მმართველი ალექსანდრე ცდილობდა, მოფერებოდა პატარას, მაგრამ იგი გაურბოდა მას და ყვიროდა: ”გამიშვით დედასთან, მე ქრისტიანი ვარ”. მმართველმა ბავშვი ფიცარნაგის სიმაღლიდან ქვის საფეხურებზე ისროლა. ბიჭუნა საფეხურებზე ჩაგორდა და სული განუტევა. დედამ, იხილა რა თავისი დასისხლიანებული შვილი, მადლობა შესწირა უფალს, რომ მან ღირს-ყო პატარა, მოწამის გვირგვინით შეემკო თავი. მრავალი სასტიკი წამების შემდეგ, წმიდა ივლიტას ხმლით თავი მოჰკვეთეს.

კვირიკესა და ივლიტას წმიდა ნაწილები წმიდა მოციქულთასწორი მეფის, კონსტანტინეს (+337, ხს. 21 მაისს), დროს იქნა მოპოვებული. მათ სახელზე კონსტანტინეპოლში აიგო მონასტერი, იერუსალიმის მახლობლად კი - ტაძარი. ხალხის რწმენით, წმიდა კვირიკესა და ივლიტას ევედრებიან ოჯახური ბედნიერებისა და ავადმყოფი ბავშვების განკურნებისთვის.

წმინდა კვირიკეს სახელობის ეკლესია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მარიამჯვარშია, სადაც გიორგიწმინდის თემის სოფლის მოსახლეობა ყოველთვის აღნიშნავს, პატივს მიაგებს ქრისტესთვის წამებულ დედა-შვილის ხსოვნას.

კოვიდინფიცირებულთა რაოდენობამ მოიმატა იზრდება ვაქცინირებულთა რაოდენობაც რაც ჩვენს ჯანმრთელობას გადაარჩენს...

დასასრული

იმუნიზაციის კაბინეტში მისულს ექიმი ცისმარ პეტრიაშვილი დამხვდა. როგორც მან საუბარში აღნიშნა, ჯერ-ჯერობით დღიდან აცრების დაწყებისა 1452 კაცია აცრილი. ყოველდღიურად კი 72-80 ადამიანი იკეთებს ვაქცინას. შეკითხვაზე: – იმუნიზაციის კაბინეტში თუ ვინმეს ჰქონია ვაქცინაციის შემდეგ რაიმე გართულება, მპასუხობს: – არა, ვაქცინაციის წინა პერიოდში კი შეიმჩნევა ცოტა მდელვარება, მაგრამ მალე „ერევიან თავს“, თანაც იციან, რომ ჯერჯერობით მკვეთრად გამოხატული გვერდითი მოვლენა არ გამოვლენილა, ამასთან ჩვენი კაბინეტი შოკის დარბაზის გვერდითაა, გვაქვს ადგილზე ყველა საჭირო მედიკამენტი. იმუნიზაციის პროცესის შემდეგ ჩვენთან 40 წუთი ჩერდება ვაქცინირებული და ვაწარმოებთ დაკვირვებას, წასვლისას ვატანთ სამახსოვროს, სადაც გარკვევითაა მითითებული აცრის შემდგომი რჩევები.

იმუნიზაციის კაბინეტში სოფლების ბადიაურის და თოხლიაურის საექიმო ამბულატორიის თანამშრომლები, მედიცინის დები – იამზე ჯავახიშვილი, მარინე პაპუაშვილი და ნათელა გურაშვილი დამხვდნენ, რომლებმაც ვაქცინა „სინოვაკით“ ჩაიტარეს აცრა. ახლა უფრო დამაჯერებელი იქნება მათი მუშაობა მოსახლეობასთან, მოსახლეობასთან, რომელიც ორადაა გაჟოფილი: ზოგს უნდობლობა აქვს, ზოგი ვაქცინა „ფაიზერით“ აცრას ელოდება, ან პორტალზე დარეგისტრირებას.

იმუნიზაციის კაბინეტში

სპორტის დამსახურებული ოსტატი, ქართველი ძიუდოისტი და საპატიო გარეჯელი - *პატონი* **ბივი ონაშვილი**: – „ღირსების ორდენის“ კავალერი. 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი. მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი. ევროპის ჩემპიონი გუნდურ და პირად შეჯიბრში, 3-გზის მეორე და მესამე პრიზიორი.

საყოველთაო ვაქცინაციის კამპანიის ფარგლებში, საგარეჯოს “ჯეოჰოსპიტალსის” იმუნიზაციის კაბინეტში “სინოფარმის” ვაქცინით აიცრა.

„ახალგაზრდობა, იმედი ხვალის“...

წარმატებული

***ისრაელის** საელჩომ და გამომცემლობა „ინტელექტმა“ იუნესკოს მიერ თბილისის 2021 წლის წიგნის მსოფლიო დედაქალაქად დასახელებასთან დაკავშირებით, გამოაცხადა მოკლე მოთხრობების კონკურსი, რომლებიც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ქართულ-ებრაულ ურთიერთობებთან. დამოუკიდებელმა ჟიურიმ გამოავლინა 8 საუკეთესო მოთხრობა, რომელსაც „ინტელექტი“ ანთოლოგიის სახით გამოსცემს.*

პირველი სამი ადგილიდან მეორე ადგილი დაიკავა საგარეჯოელმა **დავით გარსიაშვილმა.** *დავითმა საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო. დავითი დღეს მეოთხე კურსის სტუდენტია.*

– დათო, გილოცავ კონკურსში გამარჯვებას. სად სწავლობ დღეს?

– ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

– გვითხარი, რა კონკურსი იყო?

– ისრაელის საელჩოს მიერ გამოცხადებული მოთხრობების კონკურსი, რომელიც თბილისის წიგნის მსოფლიო დედაქალაქად გამოცხადებასთან დაკავშირებით ჩატარდა.

– კონკრეტულად რას ეხებოდა შენი ნაშრომი?

– ჩემი მოთხრობა ძირითადად მოიცავს პანდემიური ცხოვრების სირთულეების აღწერასა და ქართველი და ებრაელი ადამიანების მეგობრობას.

– ელოდი წარმატებას?

– ეს მოთხრობა ჩემთვის ფაქტობრივად პირველი იყო, ამიტომ დიდი მოლოდინი არ მქონდა გამარჯების, თუმცა, რა თქმა უნდა, ამას ვიმედოვნებდი.

– როგორი იყო რეაქცია, როცა წარმატების ამბავი გაიგე?

– დაჯილდოებაზე, სადაც გამარჯვებულები უნდა გამოეცხადებინათ, წასვლა ვერ მოვახერხე და უბრალოდ "ფეისბუქზე" გავიგე ამის შესახებ. რა თქმა უნდა ძალიან გამიხარდა, სასიამოვნო გრძნობაა, როცა შენს სათქმელს ვიღაც მნიშვნელოვნად მიიჩნევს.

– გვითხარი, შენი აზრით, როგორ მიიღწევა წარმატება?

– წარმატების მისაღწევად უამრავი გზა არსებობს და ყველამ თავად უნდა აღმოაჩინოს. ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი "მსხვერპლის" ფსიქოლოგიის მოშორება და ქმედების დაწყებაა, გარემო პირობებზე დამოკიდებულების შეწყვეტა.

წარმატებისთვის არ არის საჭირო გამუდმებით მუშაობა ან სწავლა, პირიქით, მავნებელიც შეიძლება იყოს. უფრო მნიშვნელოვანია თვითჩაღრმავება, მოვლენებზე დაკვირვება, დაუოკებელი ოპტიმიზმი და საჭირო დროს არაფრის კეთება, რომ მეტი საჭირო იდეა მოგვიდეს.

– წარმატებებს გისურვებთ!

– მადლობა!

სპორტი

მკლავჭიდი

გიორგიწმინდელი მკლავჭიდელების წარმატება

ამასწინათ საქართველოს მკლავჭიდის ეროვნულმა ფედერაციამ ჩაატარა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი მკლავჭიდში 15 წლამდელ ჭაბუკთა შორის. ასპარეზობაში ქვეყნის სხვა მკლავჭიდელებთან ერთად მონაწილეობდნენ გიორგიწმინდის მკლავჭიდის წრის აღსაზრდელები, რომელთაც უკვე რამდენი წელი უნარიანად ხელმძღვანელობს და თავის აღსაზრდელებს სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში არაერთ წარმატებებს აზიარებს მწვრთნელი **მამუკა ბილანიშვილი.**

გამონაკლისი არც აღნიშნული ასპარეზობა აღმოჩნდა და ტურნირის ჩემპიონი ორივე მკლავში გახდა **გიორგი დიღმელაშვილი,** რომელიც 65 კგ წონით კატეგორიაში სცდიდა თავის ძალებს. ეს წარმატება მისთვის პირველი არაა და იმედია, მომავალშიც გაგვახარებს უფრო შთამბეჭდავი მიღწევებით სპორტის ამ საინტერესო სახეობაში.

ტურნირზე 70 კგ წონით კატეგორიაში მარჯვენა მკლავში ჩემპიონი, მარცხენაში კი ვიცე-ჩემპიონი გახდა მამუკა ბილანიშვილის კიდევ ერთი მოსწავლე **გიორგი ღვინაშვილი**.

გივი დაგახიშვილი

ძიუდო

ლადო მაჩურიძის 5 იპონი ხაშურის რესპუბლიკურზე

პრიზიორობიდან ჩემპიონის კვარცხლბეკზე

წარმატებულად დაიწყო მიმდინარე წლის კორონა-ვირუსის გამო დროებით შეჩერებული სპორტული ასპარეზობების განახლების ხანა აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ მწვრთნელ მამუკა მათიაშვილის ნიჭიერი აღსაზრდელის, ადრეულ ასაკში სხვადასხვა შეჯიბრებების პრიზიორისა და ჩემპიონის, 13 წლის **ვლადიმერ (ლადო) მაჩურიძისათვის**. ჯერ იყო და 29-30 მაისს, გურჯაანში ჩატარებულ **ლაშა მღებრიშვილის** სახელობის საერთაშორისო ტურნირზე ბრინჯაოს პრიზიორი გახდა 50 კგ წონით კატეგორიაში და შემდეგ ეს შედეგი წყნეთში, გიორგი ბერიაშვილის სახელობის ტურნირზე გაიმეორა იგივე წონაში. ამ შეჯიბრიდან 5-6 დღეში ზუგდიდის მერიის თასის გათამაშებიდანაც იგივე შედეგით დაგვიბრუნდა საგარეჯოში, თანაც არ იკითხავთ?! – ყველა ამ ასპარეზობაში იგი თავისზე უფროს ასაკში ჭიდაობდა და ტოლს არ უდებდა თავისზე უფროს და რა თქმა უნდა, მეტად გამოცდილ მეტოქეებს.

ტატამზე ასეთი დატვირთვა ასეთი ასაკის მოჭიდავეების უმეტესობაზე უარყოფით გავლენას ახდენს, მაგრამ, ლადო მათ შორის გამონაკლისი აღმოჩნდა და პირიქით, მისთვის სასარგებლოც აღმოჩნდა მეტი გამოცდილების შეძენისა და დაოსტატებისათვის და შედეგიც უკვე დაიდო: ხაშურში, რამაზ ხარშილაძის რესპუბლიკურ ტურნირზე 2008-2009 წლებში დაბადებულ მოჭიდავეთა შორის ჩვენი ძიუდოისტი ჩემპიონი გახდა თავის ჩვეულ 50 კგ. წონით კატეგორიაში, ისე, რომ დაჯაბნა ყველა მოწინააღმდეგე და არავის დაუტოვა მცირეოდენი შანსიც კი ამ ტიტულისათვის ბრძოლაში. გამართული 5 ორთაბრძოლიდან ლადომ ყველა ბრწყინვალედ, 5 სუფთა გამარჯვებით – იპონით დაასრულა. ფაქტობრივად, ამ შეჯიბრებაზე ჩემპიონობისათვის ბრძოლაში ლადო მაჩურიძეს რეალურ მოწინააღმდეგედ არავინ მოიაზრებოდა, იმდენად სუსტი იყო ამ ბავშვის მოწინააღმდეგეები.

ლადოს თითოეული მოწინააღმდეგის დასამარცხებლად ოთხი წუთიც არ დასჭირვებია, – გვეუბნებიან ტურნირზე დამსწრეები.

ერთი სიტყვით ჩვენებური პატარა ძიუდოისტი ამ საჭიდაო სეზონზე ღირსეულად ირჯება და ღირსეულადაც მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. იმედი გვაქვს იგი ამ წარმატებაზე არ შეჩერდება და მომავალშიც გაგვახარებს ჭიდაობის გარეჯელ გულშემატკივრებს უფრო დიდი მიღწევებითა და გამარჯვებებით.

ლადო მაჩურიძის გარდა, ხაშურის ტურნირზე მამუკა მათიაშვილის სხვა აღსაზრდელებიც მონაწილეობდნენ. მათგან მესამე პრიზიორები გახდნენ: ოთარ ოდიკაძე (35კგ), ვახტანგ ჭიაბერაშვილი (42კგ) და ლუკა დარისპანაშვილი (46კგ)

უმრავლოთ საგარეჯოელ მოჭიდავეებს მსგავსი წარმატებები.

გივი დაგახიშვილი

ჩვენი ეთნიკური ახალგაზრდობის საგანმანათლებლო დონის ასამაღლებლად

იმ მრავალრიცხოვან ინფრასტრუქტურულ ღონისძიებათა განხორციელებასთან ერთად, რასაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, ადგილობრივი თუ სხვადასხვა პროექტების დაფინანსებით ახორციელებს, ჩვენი სოფლების აზერბაიჯანული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, იქნება ეს მათი ცენტრალური თუ საუბნო გზების მოწესრიგება და დამის განათების მოწყობა, სასმელი და სარწყავი წყლების ქსელების, ახალი ჭაბურღილების მოწყობა თუ სხვა, მნიშვნელოვანი ყურადღებაა გადატანილი აქაური ახალგაზრდობის საგანმანათლებლო და ინტელექტუალური დონის შემდგომი ამაღლების საკითხებზე. ეს საქმე მუნიციპალიტეტში მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პრეროგატივაა. იმის შესახებ, თუ კერძოდ, რა გაკეთდა მუნიციპალიტეტში ჩვენი აზერბაიჯანელი მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის წლის დასაწყისიდან განვლილ 6 თვეში ამ კუთხით, გვესაუბრება აღნიშნული ***სამსახურის უფროსი*** ბ-ნი **არჩილ ჯაბადარი.**

– მიმდინარე წლის I ნახევარში, – ***გვითხრა მან,*** – ჩვენმა სამსახურმა არაერთი ახალგაზრდულ საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიება ჩაატარა, რომელშიც მონაწილეობდნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლე-ახალგაზრდები. წარმატებით ჩატარდა „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის თამაშები“ (პროექტის ღირებულება 15000 ლარი), რომელშიც მოწვეული გვყავდნენ აზერბაიჯანულენოვანი საჯარო სკოლების მოსწავლეები. თუმცა იმის გამო, რომ მათ ვერ შეძლეს ნაკრები გუნდის გამოყვანა (ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით), ამ თამაშებმა მათ გარეშე ჩაიარა.

მათ კორონა ვირუსის პანდემიიდან გამომდინარე, ასევე ვერ მიიღეს მონაწილეობა 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ღია ცის ქვეშ ანიმაციური გმირების, შოუსა და ასევე შეჯიბრებებში, ლიტერატურულ კონკურსებში („ნატვრის ხე“ და „ძირანდუხტი“), რაზედაც დებულება მათ დიდი ხნით ადრე გაეგზავნათ.

სამაგიეროდ, ამ სკოლის მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენს მიერ ორგანიზებულ საქართველოს ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატში „ეტალონი“. მასში მუნიციპალიტეტის 128 მოსწავლე-ახალგაზრდა იღებდა მონაწილეობას. მათგან 118 ქართველ მოსწავლესთან ერთად მონაწილეობდნენ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების იორმუღანლოს – 3, დუზაგრამის – 1, მუღანლოს საჯარო სკოლიდან – 2, ასევე გომბორის საჯარო სკოლიდან – 3 და კაკაბეთის საჯარო სკოლიდან – 1 მოსწავლე. საერთო ჯამში ამ უმცირესობების წარმომადგენელი 10 მოსწავლე ახალგაზრდა. კონკურსში გაიმარჯვა და როგორც უკვე ცნობილია, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***„2020 წლის ეტალონი მოსწავლის“ ტიტული დაიმსახურა იორმუღანლოს საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლემ ნურლან ხალილოვმა.***

მუნიციპალიტეტის მერია ტრადიციულად უზრუნველყოფს ამ მოსწავლისათვის სტიპენდიის დანიშვნას, რაც სულ წელიწადში 1200 ლარს შეადგენს, ანუ თვეში გაიცემა 100 ლარი სტიპენდია.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ 2019-2020 სასწავლო წლისათვის ამ კონკურსში აზერბაიჯანულენოვანი სკოლებიდან მხოლოდ 4 მოსწავლე მონაწილეობდა.

12 აპრილს „დედა ენის“ დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში ქართველ მოსწავლეებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ აზერბაიჯანულენოვანი სკოლების, მათ შორის დუზაგრამის ქართული ენის შემსწავლელი ცენტრის მოსწავლეები. აღნიშნული პროექტი განხორციელდა ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების“ (დირექტორი თამარ ჯაბადარი) მიერ და ჩვენი სამსახურის აქტიური მხარდაჭერით.

გარკვეული სახის სპორტული ღონისძიებები ჩატარდა და ჩატარდება მომავალშიც აზერბაიჯანელი და ქართველი ბავშვების დაახლოების კუთხით. 6 აპრილს მოეწყო ამხანაგური შეხვედრა მინი ფეხბურთში ქ. საგარეჯოსა და აზერბაიჯნულენოვანი სკოლების ნაკრებ გუნდებს შორის სპორტის საერთაშორისო დღეს გათამაშდა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაწესებული „მეგობრობის თასი“ (გარდამავალი), რომელიც მოიპოვა??? საჯარო სკოლის ნაკრებმა გუნდმა

მომავალი წლიდან ტურნირი მიიღებს ტრადიციულ და უფრო მასშტაბურ სახეს.

ჩვენს სამსახურთან ერთად მნიშვნელოვან ღონისძიებებს ხორციელებს ჩვენი პატარა აზერბაიჯანელი თანამოქალაქეებისათვის ქართული სახელმწიფო ენის შესწავლისა და მათი ქვეყნის საერთო საზოგადოებრივ სივრცეში ადაპტირებისათვის აიპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“. მუნიციპალიტეტში ეთნიკური უმცირესობის პატარებისათვის ფუნქციონირებს დუზაგრამის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება და ლამბალოს 2 ალტერნატიული ჯგუფი. დუზაგრამის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში (მენეჯერი საიდა ალიევა) 40 აღსაზრდელია, ლამბალოს I და II ალტერნატიულ ჯგუფებში (მენეჯერები მაკა ებიტაშვილი და ელვირა ალახვერდიევა) – 50 აღსაზრდელი. ამ ჯგუფებში (აღსაზრდელები 4 საათს მეცადინეობენ სასკოლო მზაობის პროგრამით (კვება არ ფინანსდება). ყველა მათგანში სწავლა მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

14 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი აღსაზრდელია გომბორის (მენეჯერი თამარ ნეკრესელაშვილი) და ბადიაურის (მენეჯერი ირმა ჩალათაშვილი) – 8 აზერბაიჯანელი აღსაზრდელია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. სოფელ დუზაგრამაში მუშაობს ქართული ენის შემსწავლელი ცენტრი (ადმინისტრატორი ზილფიკარ ხუბანოვი), რომელიც ემსახურება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სახელმწიფო ენის შესწავლას. მეცადინეობები წლის დასაწყისიდანვე 3 ასაკობრივ ჯგუფში მიმდინარეობს. ამ ჯგუფებში სულ 46 მსმენელია (21 გოგონა და 25 ვაჟი), რომელთა შორის, რა თქმა უნდა, სასკოლო ასაკის ბავშვებიც არიან.

სოციალური დახმარების პროგრამა ეთნიკური უმცირესობისათვის

გაზეთის რედაქციისათვის ხელმისაწვდომი გახდა ის ოფიციალური ცნობებიც, რაც მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურმა სამსახურმა (უფროსი სოფიო შაქარაშვილი) მიმდინარე წლის 1 ივნისამდე სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად და „საგარეჯოს მუნიციპალიეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2021 წლის დამტკიცებული პროგრამით“ გასწია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებზე, კერძოდ, მოქალაქეთა მკურნალობის, მედიკამენტების, რეაბილიტაციისა და გამოკვლევების თანადაფინანსება, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მიერ დაუფინანსებელი თანხის 50% გაცემულია 9504.10 ლარი 21 ოჯახზე (მათ შორის ონკოლოგიურ ავადმყოფებზე), ჰემოდიალიზის პროგრამაში 4 პიროვნებაზე გაცემულია 2000 ლარი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დახმარების პროგრამაში ჩართულია 5 შშმ პირი და გადაირიცხა 1250 ლარი. ასევე ეთნიკური უმცირესობის შშმ პირები სარგებლობენ გათბობისა და ელექტროენერგიის ვაუჩერული პროგრამით „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2021 წლის პროგრამით“ ისარგებლა 19 მრავალშვილიანმა ოჯახმა და მათზე გაცემულია 7600 ლარი. ასევე, მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის უფასო სადილით სარგებლობს ეთნიკური უმცირესობის 2 პირი.

ზემოთ აღნიშნული სოციალური დახმარების პროგრამა წლის მანძილზე კვლავაც გაგრძელდება და ისარგებლებენ ყველა ის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, რომლებიც უკვე არიან რეგისტრირებული და ამ დახმარებას საჭიროებენ.

გივი დაგახიშვილი

განათლება

რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი
საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი– მარინა გულისაშვილი

დასასრული

საზოგადოების წევრი იყო.აჭარაში ბევრი საინტერესო რამ გააკეთა.დაწერილი აქვს პიესები,თვითონაც მონაწილეობდა თეატრალურ წარმოდგენებში...ბებია–მარიამ ოქრომჭედლიშვილი–რუსულს ასწავლიდა ამჟამინდელ მეორე სკოლაში.დამსახურებული მასწავლებლის წოდება ჰქონდა. დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით. დედა–ნინა მანაგაძე ცოტა ხანს უჯარმის სკოლაში ასწავლიდა.მერე მე და ლალის გვზრდიდა.ჩემი და–ლალი გულისაშვილი მეექვსე გიმნაზიის დირექტორი და ქართულის მასწავლებელი იყო.წერს ლექსებს.4 წიგნის ავტორია

. – როდის დაიწყეთ პედაგოგის საპასუხისმგებლო საქმიანობა, თუ გახსოვთ თქვენს მიერ ჩატარებული პირველი გაკვეთილი

– 1972 წლიდან სკოლაში ვარ. გაგიმხელთ,თავიდან არ მინდოდა სკოლაში მუშაობა.მამას სურვილი იყო,თსუს-ლექტორი ვყოფილიყავი.მეც ძალიან მინდოდა. მაგრამ ვერ გამოვიდა...მამას სურვილი ვერ შევასრულე...პირველი გაკვეთილი ჩავატარე მეშვიდე-ბ-კლასში.იქ სწავლობდნენ ნესტან ურდულაშვილი,ფრიდონ ბურდული...მათთან პირველად მოვსინჯე ჩემი შესაძლებლობები...თურმე ვანო ბედიაშვილი–დირექტორი–თვალყურს მადევნებდა და გაკვეთილიდან რომ გამოვედი, შემაქო. მგონი, უფრო წამახალისა...თემაც მახსოვს–"ძველი სლავები"...

– ვინ იყვნენ თქვენს გვერდით გამოცდილი და გამოუცდელი პედაგოგები, ვინ გედგათ გვერდით, როგორც ახალბედას?

– ძალიან მერიდებოდა ჩემს ყოფილ მასწავლებლებთან ერთად მასწავლებლობა. მეუხერხულებოდა.მერე და მერე მივეჩვიე. რა დამავიწყებს ქალბატონ ციალა ნარიმანიშვილს.შვილად მიმიღო და ბევრი რამ მასწავლა...–დედა აღარ მყავდა...რუსიკო ბუხნიკაშვილი სულ მხარში მედგა.მის სიყვარულს ვგრძნობდი...მოგვიანებით რა დამავიწყებს ეთერი მურმანოვისა და ცირა ბასილაშვილის ამაგს.კოლექტივმა კარგად მიმიღო,ამის მადლიერი ვარ.ჩემთვის ეტალონად იყო,არის და იქნება ქალბატონი ნინო ასათიანი...ძალიან ვუყვარდი და მიყვარდა...ხელოვანი იყო.მისი გაკვეთილები დღესაც მახსოვს...

– გზა პირველი გაკვეთილიდან დღემდე, სწავლა, ძიება, სწავლა...

– ძნელი სავალი იყო ეს გზა. წარმატებაც მქონდა და შეცდომებიც დამიშვია,მაგრამ არასოდეს არ ჩამიჩოქებია...ცირა მასწავლებელი ისე შემომიძახებდა ხოლმე,აბა,არ დამეჯერებინა... მისგან ბევრი რამ ვისწავლე.მე დღესაც ვსწავლობ სხვებისგან,ვცდილობ,ვისაც სურს,ჩემი გამოცდილებაც გავუზიარო... ბავშვებისგან ბევრი რამის სხვანაირად დანახვაც შევძელი.ბავშვი უცოდინრობას მასწავლებელს არ აპატიებს.რამდენი დრო გავიდა...მაინც სიახლეებს ვეძებ.ჩემთვის მთავარია,აზროვნებას შევაჩვიო მოსწავლე.

– როგორი უნდა იყოს 21-ე საუკუნის მასწავლებელი?

– საგნის მცოდნე,განათლებული,ბავშვის გულის მესაიდუმლე...ბავშვებს მცირე ნიუანსი არ რჩებათ შეუნიშნავი.

– რა განსხვავებაა 30 წლის წინანდელ და დღევანდელ მოსწავლეს შორის...

– დიდი განსხვავებაა.ადრე ბავშვები უფრო მორიდებულები იყვნენ.ახლა უფრო თავისუფლები არიან.მშვენივრად იყენებენ ტექნიკას,რაც 30 წლის წინ არ გვქონდა. ახლა ნაკლებად უყვართ წიგნი,კითხვა... ზოგმა ახალგაზრდამ ელემენტარული რამ არ იცის,თუნდაც საქართველოს ისტორიიდან.მადლობა ღმერთს,რომ ბევრი წარმატებული ახალგაზრდა გვყავს.

– როგორ მიიღწევა წარმატება, რა არის საამისოდ საჭირო?

– წარმატებისთვის აუცილებელია განათლება, საქმის სიყვარული,შრომა...მასწავლებლის პროფესიის სიყვარული, საკუთარ შეცდომებზე სწავლა...

– გაიხსენეთ თქვენი კარგი მოსწავლეები, მათგან ისტორიკოსები

– ბევრ საუკეთესო ბავშვს გაუვლია ჩემს ხელში.ვფიქრობ,არ ჩამოვთვალო. ერთს დავასახელებ–ნინი გოდერძიშვილი. თსუ დაამთავრა.ისტორიკოსია.თბილისში ასწავლის.საგარეჯომ არ უნდა დაკარგოს ეს გოგონა.ნამდვილად კარგი მასწავლებელი იქნება..

– რას ისურვებდით თქვენს კოლეგებს?

– კოლეგებს ვუსურვებდი ჯანმრთელობას,დიმილს,თავიანთი მოსწავლეების მიღწევებით სიხარულს, ურთიერთპატივისცემას, ხელფასის მომატებას.

–პირველი ემოცია, წარმატების შესახებ

– ლელამ სკოლაში დაგვიბარა.არ გვითხრა,რატომ.მანანა ცუცქირიძე მოვაო..

მივედით რამოდენიმე მასწავლებელი.და უცბად,მანანა აცხადებს... საერთოდ არ ველოდი.სიტყვით ვერ გადმოვცემ,რა დამემართა.ეს ფოტოდანაც ჩანს–როგორი დაბნეული სახე მაქვს,

გამეხარდა,ძალიან გამეხარდა,თან თავში მიკაკუნებდა–რაღა მე?!ერთი ჩვეულებრივი მასწავლებელი,თავისი გამარჯვებებით და შეცდომებით... მაგრამ ასე მოხდა.მადლობა მანანა ცუცქირიძეს,დირექციას,ყველას,ყველას...ვისაც ესიამოვნა ეს ამბავი. ერთიც მინდა დავამატო–მეხუთე კლასის მოსწავლეებს ეთქვათ, მარინა გულისაშვილი უნდა გამოვიდეთო.რატომო და–იმიტომ, რომ ბევრი რამ იცის და ყველა შეკითხვაზე პასუხს გვცეემსო...ეს ორი დაფასება,იცით,ჩემთვის რამდენს ნიშნავს?!

– წარმატებებს გისურვებთ!

რეგიონში გამარჯვებული
სოფელ გომბორის საჯარო სკოლის დაწყებითი გაანთლების საფეხურის მასწავლებელი
მარეხი დიდებაშვილი

დასასრული

საგანმანათლებლო სივრცეში და თქვენ და თქვენს ზოგიერთ კოლეგას გზა გაგიკვალათ ცხოვრების გზის არჩევასა და პროფესიულ დაოსტატებაშიც.

– დიახ,მადლობა მინდა გადავუხადო ქართულის მასწავლებლებს რევაზ არჩემაშვილს და ვალერიან ალბუთაშვილს. მათ მასწავლეს წიგნის სიყვარული, ქართული ენის მადლი და შემაყვარეს საკუთარი ქვეყნის ტრადიციები ჯერ როგორც მასწავლებლებმა, მერე, როგორც კოლეგებმა. ქედს ვიხდი მათი ხსოვნის წინაშე.

აქვე მინდა მადლობა გადავუხადო ***საქართველოს განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს საგარეჯოს რესურს-ცენტრის უფროსს*** ქ-ნ **მანანა ცუცქირიძეს**, ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს*** ბ-ნ **ბიორბი ერბოღონაშვილს**, ***მის მოადგილეს*** **ბიორბი ლალიაშვილს**, ქ-ნ **მარინა შრდულაშვილს** და მის ანსამბლ „მი-რე-ლას" დაჯილდოების ცერემონიალზე გამოჩენილი ყურადღების და გალამაზებისათვის. და ნათელა გუდავაძე – პატარკაციშვილის სახელობის ფონდს, რომელიც აღნიშნულ კონკურსს აფინანსებს, კონკურსის ყველა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს, ჩემს მოსწავლეებს, მშობლებს, რომლებიც მეხმარებიან უფრო ნაყოფიერი გახდეს ჩემი თითოეული გაკვეთილი, მომყვებიან, ინტერესდებიან გაკვეთილის თითოეული წუთის რაციონალურად გამოყენებაში.

– რას ისურვებდით, როგორი გინდათ იყოს თქვენს მიერ აღზრდილი საქართველოს მომავალი?

– ძალიან მინდა და ვისურვებდი, რომ ისინი ჩვენი ქვეყნის ერთგულ პატრიოტებად, მიწა-წყლის, ენის, სარწმუნოების ჭეშმარიტ დამცველებად აღიზარდონ!

– უფალმა გისმინოთ!

ამაგდარი
სიბლი, რომელიც არ კარგავს ფერებს

დასასრული

ლო სკოლაში განაგრძო. იყო ძიების, სწავლის, მოსწავლეებთან ერთად საინტერესო ღონისძიებების ჩატარების წლები. შეუმჩნეველი არ რჩებოდა პედაგოგის ღვაწლიც და მისთვის დიდი ჯილდო რესპუბლიკის მასწავლებელთა ყრილობის დელეგატობა იყო. ასევე იყო პედაგოგმეთოდისტი.

1988 წელს საგარეჯოს IV საჯაროო სკოლის გახსნამ უფრო მეტი სტიმული, შესაძლებლობები მისცა მოწოდებით და სულით პედაგოგს. აქ ტარდებოდა სრულიად განსხვავებული ქიმიის გაკვეთილები და დღესაც ასეა. ამას მოწმობს ისიც, რომ მისი მოსწავლეები წარმატებით ღებულობენ მონაწილეობას სხვადასხვა რაიონულ, რესპუბლიკურ კონფერენციებსა და ღონისძიებებში, კონკურსებში. ქიმიის გაკვეთილები იმდენად სახალისო იყო, რომ მოსწავლეთა დიდ ნაწილს ქიმიის საგნით დაინტერესება გამოიწვია და მათი ცოდნის შეფასება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის მესამე-მეოთხე კურსელთა ცოდნასაც უტოლოდებოდა. ახლაც სიამაყით იხსენებს საუბარში მოსწავლეების ნინო ტაბიძის, ნანა ადუაშვილის, დარეჯან ლაფაჩიშვილის სახელებს, რომლებიც ტოლს არ უდებდნენ ქიმიის ცოდნაში სტუდენტებს. სიამაყითვე იხსენებს მოსწავლეების მონაწილეობას ნიკო კეცხოველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად გამართულ კონკურსში.

გულით უნდოდა მასწავლებლობა – მართალია, აიხდინა ეს ოცნება, მის კვალს ხომ მისი მოსწავლეებიდან ერთი და ორი კი არა, რამდენიმე გაჰყვა: ნინო დალბაშვილი, ნინო გილაშვილი, ნატო გულიკაშვილი, ნანა ნათენაძე, ანა ბედიაშვილი, ანა ტიგინაშვილი, ნათია ფირყულაშვილი... რამდენმა ექიმობა არჩია და ქიმიის საგნის ზედმიწევნით ცოდნა მისაღებ გამოცდებზეც სიკეთედ წაადგა და სწავლის პერიოდშიც.

ახლაც გრძელდება ინტერესი ქიმიის გაკვეთილებისადმი... ნანული მასწავლებელი ყოველთვის ცდილობს – ყველა გაკვეთილი ახლებურად ჩაატაროს, არც ერთი არ ჰგავდეს წინა გაკვეთილს. ცდილობს ფეხი აუწყოს განათლების სისტემაში შემოსულ თანამედროვე მოთხოვნებს, საინტერესოდ, შედეგიანად ჩაატაროს კომპლექსური გაკვეთილები, თუმცა პანდემიამაც ვერ შეუშალა ხელი და ონლაინ გაკვეთილებმა მის მოსწავლეებსა და პედაგოგებს შორის მართლაც ნაყოფიერად და წარმატებულად ჩაატარა.

21 ივლისს ქ-ნი ნანულის დაბადების დღეა. ამ დღეს მისმა მოსწავლეებმა დაარღვიეს „დისტანციური მოკითხვა" და ტორტებით ხელდამშვენებულებმა მიულოცეს ეს დღე.

გილოცავთ დაბადების დღეს,,კვლავაც თქვენული შემართებით, საინტერესოდ და შინაარსიანად წარმართულიყოს ყოველი თქვენი სამუშაო დღე.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს" გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე"
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში" სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში"
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში".
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com; gareji2011@mail.ru